მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კომპანიის შესაძლებლობა, გაზარდოს პროდუქციის ფასები-შეზღუდულია. რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება

კომპანიის ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს განაახლოს ან შეცვალოს სამოქმედო პოლიტიკა ისე, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს ბაზარზე.

3 კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, დამფუძნებელთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს

1. თანასწორობის პრინციპით, რაც გულისხმობს დამფუძნებლის თანაბარ შესაძლებლობას იყოს ჩართული და დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში არსებობს ქმედითი მექანიზმი.
2. დამფუძნებლის შესაძლებლობით, დროულად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე.
3. ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფით. კომპანიის მართვა ხორციელდება მმართველი რგოლების პასუხისმგებლობის მაღალი დონით, უფლება-მოვალეობების მკაცრი გამიჯვნისა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.
4. კომპანიის დამფუძნებელთა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.
5. თანამშრომელთა ჩართულობით კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.
6. ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობით კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში.

4 კომპანიის მართვის ორგანოებია

კომპანიის დირექტორი კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დამფუძნებლის დადგენილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

5 კომპანიის სამომავლო გეგმები

ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად კომპანია გეგმავს გაფართოებას და ფილიალების დამატებას საქართველოს მასშტაბით. ასევე ასორტიმენტის მუდმივ განახლებას და გაზრდას.

შპს ონლაინ მოლის

დირექტორი ოთარ წურწუშია



CORA AUDIT

შპს კორა აუდიტი

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და დასამტკიცებლად 2023 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის

შემდეგი ანგარიში, რომლის წაკითხვაც უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აღნიშნულ აუდიტორის ვალდებულებასთან ერთად, გაკეთდა ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის გათვალისწინებით შპს ონლაინ მოლის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობასა და ცვლილებებს კაპიტალში აღნიშნული პერიოდისთვის, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშის სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („IFRS for SME“-სთვის).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხო პოლიტიკისა და პრინციპების შერჩევაზე და მათ თანმიმდევრულად გამოყენებაზე;
- დასკვნების გამოტანასა და მათი გონივრულობის დადგენაზე;
- განაცხადოს, დაცულია თუ არა „IFRS for SMEs“-ის მოთხოვნები, ექვემდებარება თუ არა რაიმე არსებით გადახვევას, რომელიც გამომჟღავნებული და განმარტებულია ფინანსურ ანგარიშგებებში; და
- ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, თუ არ არსებობს შესაბამისი საფუძველი, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნაზე, განხორციელებასა და შენარჩუნებაზე;
- სააღრიცხო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც გონივრული სიზუსტით ნებისმიერ დროს გაამჟღავნებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და რომელიც საშუალებას მისცემს მათ, უზრუნველყონ კომპანიის ფინანსური ანგარიშების შესაბამისობა IFRS SEMs-თან.
- ნორმატიული სააღრიცხო ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობის და აღრიცხვის სტანდარტების თანახმად შესაბამის იურისდიქციაში, რომელშიც ფუნქციონირებს კომპანია;
- ისეთი ნაბიჯების გადადგმაზე, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობის და სხვა შეუსაბამოების პრევენციასა და გამოვლენაზე;

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 29 ნოემბერს

ოთარ წურწუმის მიერ:

დირექტორი:

თამარ კეკელიძეს მიერ:

ბუღალტერი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ონლაინ მოლი“-ს ხელმძღვანელებს და პარტნიორებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონლაინ მოლის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ონლაინ მოლის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადები მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („IFRS for SME“-სთვის).

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 7,843,889.00 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ძირითადი საშუალებების საწყის აღიარებასა და შესადარის პერიოდებში მნიშვნელოვან დაშვებებთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ აღიარებული ძირითადი საშუალებების ნაშთია 1,211,233.00 ლარი. შედეგად, ჩვენ ვერ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების .

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ შპს „ონლაინ მოლისგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA), პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს.

გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი იქამდე, ვიდრე ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს აღნიშნული.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობის აღმოაჩენას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი არსებითია თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტი, ჩვენ ვინარჩუნებთ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ აგრეთვე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას. ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი

დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის წარმოება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორის დასკვნაში ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამის მიუხედავად, შემდგომში გამოვლენილმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კლუბის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებებზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ჯიმშერ ჩოკორაია SARAS-A-671842

შპს „კორა აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29/11/2024

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2023	2022
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ამონაგები	4	25,792,724	22,770,366
გაყიდვების თვითღირებულება	5	(14,291,799)	(13,800,776)
საერთო მოგება		11,500,925	8,969,590
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(10,168,814)	(8,031,215)
ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	7	(283,551)	332,529
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		1,048,600	1,270,904
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება (ზარალი)		1,048,600	1,270,904
სხვა შემოსულობა/ზარალი			
სხვა სრული შემოსავალი		1,048,600	1,270,904

ოთარ წურწუმია

თამარი კეკელიძე

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
	შენიშვნები	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	1,003,941	1,050,802	428,700
არამატერიალური აქტივები	9	73,850	65,819	43,859
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,077,791	1,116,620	472,559
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	7,843,889	7,319,759	4,644,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	11	1,432,587	973,749	1,172,672
ფული და ფულის ექვივალენტები	12	759,500	771,733	389,418
სულ მიმდინარე აქტივები		10,035,976	9,065,241	6,206,309
სულ აქტივები		11,113,767	10,181,862	6,678,867
კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრის კაპიტალი	13	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		5,066,349	4,222,196	3,042,790
სულ კაპიტალი		5,066,349	4,222,196	3,042,790
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	14	2,667,832	2,997,554	1,813,335
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,667,832	2,997,554	1,813,335
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	2,935,101	2,320,251	1,422,827
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	16	434,485	641,861	399,915
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,369,586	2,962,112	1,822,742
სულ ვალდებულებები		6,047,418	5,959,666	3,636,077
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,113,767	10,181,862	6,678,867

ოთარ წურჭუმია
თამარი კეკელიძე

დირექტორი:
ბუღალტერი:

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

		საწესდებო კაპიტალი	დამატებითი გადასახდელი კაპიტალი	გადაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ
	შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2022 წ. 31 დეკემბრისთვის		-	-	4,222,196	4,222,196
ზრდა საწესდებო კაპიტალში	16		-		-
დამფუძნებელთა შენატანები					-
დივიდენდი				-	-
გაუნაწილებელი მოგების კორექტირება				(204,447)	(204,447)
სხვა სრული შემოსვალი				1,048,600	1,048,600
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბრისთვის		-	-	5,066,349	5,066,349

ოთარ წურწუშია

თამარი კეკელიძე

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	30,111,817	17,205,599
მომწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები	(20,363,411)	(10,730,979)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3,697,112)	(2,396,070)
გადახდილი გადასახადები	(5,238,572)	(4,263,156)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	812,722	(184,606)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(335,643)	(794,706)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(335,643)	(794,706)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების აღება	875,156	2,029,700
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(1,203,749)	(537,237)
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(183,228)	(137,457)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(511,821)	1,355,076
მოდრაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(34,742)	375,764
წლის დასაწყისში	771,733	389,418
წლის ბოლოს	759,500	771,733

ოთარ წურწუმია
თამარი კეკელიძე

დირექტორი:
ბუღალტერი:

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები, მნიშვნელოვანი მსჯელობა და ფუნქციონირებადობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	11-15
3. ბიზნეს გარემო	16
4. ამონაგები	17
5. გაყიდვების თითღირებულება	17
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
7. ფინანსური ხარჯები და საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	18
8. ძირითადი საშუალებები	18
9. არამატერიალური აქტივები	19
10. მარაგები	19
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
12. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	20
13. საწესდებო კაპიტალი	20
14. სესხები	20
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	21
17. სასამართლო დავები	22
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
20. მმართველობითი ანგარიშგება	24-25

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ონლაინ მოლი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოში, იგი დაარსდა 2017 წლის 04 სექტემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ვ.ბარნოვი-თარხნიშვილის ქN49/29, ბ.6. საზოგადოების დირექტორი და 100 %-იანი წილის მფლობელია ოთარ წურწუშია (პ/ნ 01018004007). კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404543561.

კომპანიის საქმიანობს „ვიშლისტი“ ქსელის ობიექტებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა 10 ფილიალს საქართველოს მასშტაბით და 1 ონლაინ მაღაზიას.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადახდო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშების მომზადების საფუძვლები, მნიშვნელოვანი მსჯელობა და ფუნქციონირებადობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (IFRS for SME-სთვის), რომელიც გაცემულია საერთაშორისო სტანდარტების აღრიცხვის საბჭოს (“IASB”) მიერ, ანგარიშგება მოცემულია ქართულ ვალუტაში, ლარში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები 2,98-ჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მსჯელობა ფუნქციონირებადობის შეფასებასთან მიმართებაში ემყარება კომპანიის მიერ მიღწეულ ფინანსურ ზრდას. ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს სავაჭრო ქსელის გაფართოვება საქართველოს მასშტაბით.

ოპერაციები უცხოური ვალუტით

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, ტრანზაქციის დღისვის შეთანხმებული კურსის გამოყენებით. უცხოური ვალუტის ფულადი საშუალებები გადაიცვლება 31 დეკემბრს არსებული კურსის გამოყენებით. გაცვლის შედეგად მიღებული სხვაობა აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი.

ამონაგების აღიარება

შემოსავალი აღიარებულ იქნება იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება მისი საიმედოდ შეფასება, იმის მიუხედავად, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავალი ფასდება მისაღები ან მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებაში განმარტებული გადახდის პირობების გათვალისწინებით და ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. მაუწყებლობით და გადაცემის სერვისით მიღებული შემოსავალი აღიარდება, როდესაც კომპანია უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარდება, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას.

იჯარები

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ნასესხები სახსრები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი საგადასახადო მოგების რეფორმასთან დაკავშირებით (ასევე ცნობილია როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად მოქმედებს დაბეგვრის მომენტში, როდესაც ხდება დაბეგვრადი მოგების დივიდენდის სახით განაწილება. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის, რომელიც დაიწყო 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, საფინანსო ინსტიტუტების გარდა (როგორცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელით მთავარი დაბეგვრის ობიექტი არის განაწილებული მოგება. ამასთან, რამდენიმე სხვა ტრანზაქცია მოიაზრება, როგორც მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტად, მაგალითად არასაბაზრო გარიგება დაინტერესებულ მხარეებთან და/ან პირებთან, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისგან. ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრულ ოდენობაზე გადაჭარბება.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში როდესაც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, ფაქტიური გადახდის თარიღის მიუხედავად ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდები.

მესაკუთრის კაპიტალი, დამატებით გადახდილი კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

საკუთარი კაპიტალი აღიარებულია მინიმალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც „მესაკუთრეთა კაპიტალი“ საკუთარ კაპიტალში. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

მიწის ნაკვეთს ცვეთა არ ერიცხება. ყველა სხვა აქტივის შემთხვევაში, ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

აპარატურა და მოწყობილობა	5-20%
ავტოტრანსპორტი	10%

ოფისის აღჭურვილობა 3-15%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 7-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გასვლისას, განსხვავება შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, და აისახება „სხვა საოპერაციო შემოსავალში“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებში“.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიასა და კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა კომპანიის უფლება დივიდენდების მიღების შესახება. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

3. ბიზნეს გარემო

კოვიდ -19. 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად ოფიციალურად გამოაცხადა. პანდემიის გავლენის და გავრცელების შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა საკარანტინო რეჟიმი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვა და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. შემდგომში ზემოაღნიშნული შეზღუდვები გაუქმდა, თუმცა კვლავ არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები ვირუსის ახალი ვარიანტების გამოჩენის პასუხად.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ბიზნესი შედარებით ნაკლებად დაზარალდა მსოფლიო პანდემიის პირობებში და კომპანიის ხელმძღვანელობამაც გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა მინიმუმამდე დაეყვანა პანდემიის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე. ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა შეინარჩუნოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

საბოლოოდ, 2023 წლის მაისის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემია დასრულებულად გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პანდემიის პირობებში რითეილ ბიზნესი შედარებით ნაკლებად დაზარალდა.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებელი. შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა. მოვლენები ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მას მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას არ აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსიასთან. შესაბამისად, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდე. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მოვლენების განვითარებას.

4. ამონაგები

კომპანიის შემოსავლის მთავარი ნაწილი 2023 შედგებოდა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისაგან.

	2023	2022
	ლარი	ლარი
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	25,792,724	22,770,366
სულ	25,792,724	22,770,366

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2023	2022
	ლარი	ლარი
გაყიდული პროდუქციის ღირებულება	(14,291,799)	(13,800,776)
სულ	(14,291,799)	(13,800,776)

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	202
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	(3,870,381)	(3,452,523)
მივლინების ხარჯები	(226,089)	(146,554)
საპენსიო მოსაკრებელი	(91,135)	(83,547)
მიწოდების ხარჯები	(1,719,182)	(1,199,419)
ამორტიზაცია და ცვეთა	(185,811)	(95,295)
იჯარა	(2,744,496)	(1,866,713)
დაზღვევა	(94,989)	(51,161)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(14,161)	(13,207)
კომუნალური ხარჯი	(190,949)	(124,668)
კომპიუტერის ხარჯი	(8,695)	(4,994)
კომუნიკაციის ხარჯი	(46,285)	(26,554)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(23,020)	(9,355)
საკონსულტაციო ხარჯი	(36,647)	(39,821)
ბანკის საკომისიო	(309,390)	(265,434)
სხვა ხარჯი	(618,247)	(664,692)
სულ	(10,197,477)	(8,043,938)

7. ფინანსური ხარჯები და საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი

	2023	2022
	ლარი	ლარი
პროცენტის ხარჯები	(192,728)	(138,111)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი (წმინდა)	(80,120)	483,362
სულ	(272,848)	345,251

8. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	დანადგარე ბი და აღჭურვილ ება	ოფისის მოწყობი ლობა	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ფართის კეთილმო წყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2022 31 დეკემბრისთვის			131,688	110,307	38,353	903,896	1,184,244
შესყიდვა			74,836	35,077	9,606	19,531	139,050
განკარგვა							
2023 31 დეკემბრისთვის			206,524	145,384	47,959	923,427	1,323,294
ცვეთა და ამორტიზაცია							
2022 31 დეკემბრისთვის			(35,003)	(15,130)	(1,290)	(82,119)	(133,542)
წლიური ცვეთა			(32,747)	(16,504)	(899)	(135,661)	(185,811)
განკარგვა							
2023 31 დეკემბრისთვის			(67,750)	(31,634)	(2,189)	(217,780)	(319,353)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2022 31 დეკემბრისთვის			96,685	95,177	37,063	821,777	1,050,702
2023 31 დეკემბრისთვის			138,774	113,750	45,770	705,647	1,003,941

9. არამატერიალური აქტივები

	სააღრიცხვო და სხვა პროგრამა	სულ
	ლარი	ლარი
ღირებულება		
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	69,319	69,319
შესყიდვა	12,406	12,406
განკარგვა		
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	81,725	81,725
ამორტიზაცია		
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,500)	(3,500)
წლიური ამორტიზაცია	(14,799)	(14,799)
განკარგვა		
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	(33,370)	(33,370)
საბალანსო ღირებულება		
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	65,819	65,819
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	73,850	73,850

10. მარაგები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2023	2022
	ლარი	ლარი
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	7,843,889	7,318,824
სხვა მარაგები	-	935
სულ	7,843,889	7,319,759

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2023	2022

	ლარი	ლარი
დებიტროული დავალიანება	265,751	242,542
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	8,724	710
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,158,112	730,498
სულ	1,432,587	973,749

12. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2023	2022
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	76,212	116,999
ფული საბანკო ანგარიშებზე	683,288	654,734
სულ	759,500	771,773

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების რეალურ ღირებულებასა და სააღრიცხვო ღირებულებას შორის არ გამოვლენილა სხვაობა.

13. საწესდებო კაპიტალი

კაპიტალში ასახულია დამფუძნებლის მიერ შეტანილი თანხა

14. გრძელვადიანი სესხები

სს პროგრედიტ ბანკის მიერ გაცემული სესხი.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2023	2022
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	2,728,157	1,742,467
მიღებული ავანსები	92,854	68,426
გადასახდელი ხელფასები	103,872	504,194
არარეგისტრირებული ფიზიკური პირები	217	4,652
გადასახდელი პროცენტი	10,002	512
სულ	2,935,101	2,320,251

16. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პუნქტებში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის პროცესები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მათ გასაზომად. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრისთვის და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ შექმნას და აამუშავოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას კომპანიის ფინანსურ მართვაში.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანი არის ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც შეამცირებს რისკებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დეტალები ამ პოლიტიკასთან მიმართებაში დადგენილია ქვემოთ. კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს.

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებელი.

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2023	2023
	ლარი	ლარი
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	265,751	242,542
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	759,500	771,773
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,025,251	1,014,315

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად ექვემდებარება კომპანიის საკრედიტო რისკს, შედგება ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი სახსრების მართვით. ეს არის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დადგება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მუშაობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის ქონას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის.

კომპანიის დაფინანსების ძირითადი წყარო არის სესხები და პარტნიორთა კაპიტალი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

17. სასამართლო დავები

კომპანიას მიმდინარე სასამართლო დავები არ გააჩნია

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 29 დეკემბერს.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

2023 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს ონლაინ მოლი 404543561

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ონლაინ მოლი“-ის (შემდგომში „კომპანია“) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სრული საბავშვო პროდუქციის რეალიზაცია.

კომპანია ონლაინ მოლი დაარსდა 2017 წლის 4 სექტემბერს საქართველოში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფისის რეგისტრირებული მისამართია: მთაწმინდის რაიონი, ვ.ბარნოვი-თარხნიშვილის ქ. #49/29 ბ 6, თბილისი საქართველო. მისი საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი: 100% წილი ოთარ წურწუშია 01018004007 დირექტორი : ოთარ წურწუშია

კომპანია წარმოდგენილია 10 ფილიალით და ერთი ონლაინ მაღაზიით (<https://wishlist.ge/>) ;

1. თბილისი/ვაკე-საბურთალო/აღმაშენებლის ხეივანი 16კმ
2. თბილისი/ვაკე-საბურთალო/ქავთარაძის N1 "სითი მოლი
3. თბილისი/ისანი-სამგორი/თვალჭრელიძის 52
4. თბილისი/ვაკე-საბურთალო/სულხან ცინცაძე N12
5. თბილისი/ვაკე-საბურთალო/ნეკერჩხლის ქ. 2
6. ქვემო ქართლი/ქ.რუსთავი/მეგობრობის 1ა "რუსთავი მოლი"
7. აჭარა/ზათუმი/ჭავჭავაძის ქ N 8
8. აჭარა/ზათუმი/ჟიული შარტავას ქ. 22
9. იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი/ქ.ქუთაისი/9 აპრილის 3
10. სამეგრელო-ზ.სვანეთი/ქ.ზუგდიდი/კ.გამსახურდიას ქ N35

კომპანია ოპერირებს სრული ლიცენზირებული საბავშვო ასორტიმენტით: ეტლები, საწოლები, ტანსაცმელი, სათამაშოები, საბავშვო ავეჯი და ა.შ.
ხოლო ონლაინ გაყიდვაშია ასევე დამატებით ტექნიკა და საოჯახო ნივთები.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები

1. ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
2. ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა
3. მსოფლიო პანდემია
4. რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის ფაქტორი.

ონლაინ მოლი-ის სასესხო, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, უცხოურ ვალუტებშია, შემოსავალს კი იღებს ლარში. ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ უცხოური ვალუტებთან

მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კომპანიის შესაძლებლობა, გაზარდოს პროდუქციის ფასები-შეზღუდულია. რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება

კომპანიის ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს განაახლოს ან შეცვალოს სამოქმედო პოლიტიკა ისე, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს ბაზარზე.

3 კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, დამფუძნებელთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს

1. თანასწორობის პრინციპით, რაც გულისხმობს დამფუძნებლის თანაბარ შესაძლებლობას იყოს ჩართული და დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში არსებობს ქმედითი მექანიზმი.

2. დამფუძნებლის შესაძლებლობით, დროულად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე.

3. ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფით. კომპანიის მართვა ხორციელდება მმართველი რგოლების პასუხისმგებლობის მაღალი დონით, უფლება-მოვალეობების მკაცრი გამიჯვნისა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.

4. კომპანიის დამფუძნებელთა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

5. თანამშრომელთა ჩართულობით კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

6. ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობით კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში.

4 კომპანიის მართვის ორგანოებია

კომპანიის დირექტორი კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დამფუძნებლის დადგენილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

5 კომპანიის სამომავლო გეგმები

ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად კომპანია გეგმავს გაფართოებას და ფილიალების დამატებას საქართველოს მაშტაბით. ასევე ასორტიმენტის მუდმივ განახლებას და გაზრდას.

შპს ონლაინ მოლის

დირექტორი ოთარ წურჭუძია